„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“: დაარსებიდან 100 წლის სახელოვანი იუბილე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ დავით გურგენიძეს

ბატონო დავით,

საეთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია გულითადად გილოცავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს და გისურვებთ წარმატებებს სამეცნიერო კვლევებსა და მომავალი კადრების აღზრდის საქმეში.

საუკუნოვანი ჟურნალ „ეკონომიკის“ რედაქციისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რომელიც რამდენიმე ათეულ წელზე მეტია გრძელდება. ასეთი თანამშრომლობა მომავალშიც უფრო აქტიურ ფაზაში გადავა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში სხვა გამოჩენილ მეცნიერ-ეკონომისტებთან ერთად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან თითქმის უმრავლესობაა წარმოდგენილი, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ასევე იუბილარი-100 წლოვანი ჟურნალის საქმიანობაში. მათ ღირსეული წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკური გააქტიურების საქმეში, რომელიც დღეს როგორც საშინაო, ასევე საერთაშორისო თვალსაზრისით დიდი გამოწვევების წინაშე დგას.

ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იუბილეს აღსანიშნავად გადავწყვიტეთ მიმდინარე 2022 წ. **სპეცი-**

ალური მე-3-ე ნომერი მიგვეძღვნა **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი.** მასში დაბეჭდილია მილოცვები, სტატიები ქართულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე უცხო ქვეყნებიდან და სტუ აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტების, ასევე ნებისმიერი მსურველის მიერ. თითოეულ სტატიას ენიჭება საერთაშორისო უნიკალური ციფრული კოდი (DOI) და ინდექსირდება სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში.

ასევე ჟურნალი „ეკონომიკის“ რედაქციის კოლექტივმა შევძელით შეგვეტანა მცირედი წვლილი და ამ საიუბილეო ნომერში სტუდენტების მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებს შორის შეგვერჩია რამდენიმე საუკეთესო სტატია და თითოეულ ავტორს სტუ-ს 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაეცემა სიმბოლური თანხა.

ბატონო დავით,

ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით კიდევ ერთხელ მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს, მის პროფესორ მასწავლებლებს, თანამშრომლებს, სტუდენტებს სახელოვან იუბილეს და გისურვებთ მოწინავე პოზიციის შენარჩუნებას, პოზიტიური განვითარების გაგრძელებასა და მომავალში ახალ წარმატებებს ქვეყნისთვის სასარგებლო საქმიანობაში.

ულრმესი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,
ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგიის სახელით:

სტუ პროფესორი, ჟურნალ „ეკონომიკის“
მთავარი რედაქტორი
რევაზ შენგელია

"GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY": 100TH ANNIVERSARY FROM ITS FOUNDATION

To: Rector of Georgian Technical University
Professor Davit Gurgenidze

Dear Mr. David,

The Editorial Board of the International peer-reviewed and refereed monthly scientific ***Journal "Economics***" would like to congratulate on the 100th anniversary of Georgian Technical University and wish you great success in the future scientific research activities and preparation of highly qualified human resources.

The Cooperation of the 104years old famous scientific Journal "Economics" with Georgian Technical University, which has been continuing more than a few decades, is very important. Such a collaboration will enter a more active phase in the future, especially when the majority of Editorial Board of the journal represents almost Georgian Technical University Staff along with other Georgian and foreign prominent scientists-economists, who are actively involved in the activities of the 104th years old famous Jubilee journal. They make a worthy contribution to the economic activation of the country, which today faces great challenges both domestically and internationally.

Currently, to celebrate the anniversary of Georgian Technical University, we have decided to dedicate the **current Special 3rd issue of 2022 to the 100th anniversary of Georgian Technical University**. It includes congratulations, articles in Georgian, English, German from foreign countries and also by GTU academic and invited staff, undergraduate, graduate and doctoral students, as well as by other interested professionals. Each article is assigned a unique international Digital Object Identifier (DOI) and is indexed in various international scientific databases.

Additionally, we, the Editorial Board staff of the journal "Economics" were able to make a small contribution and have selected some of the best articles among the papers published by students in this special anniversary issue, and each student will be awarded by the symbolic amount related with 100th anniversary of GTU.

Mr. David,

On behalf of the Editorial Board of Journal "Economics" I once again congratulate to you and Georgian Technical University, its all academic and administrative staff, students on the famous Jubilee and wish you to maintain the advanced position, to continue such a positive development and new success in future in beneficial activities for our country.

With a great respect and Best wishes, on behalf of the editorial board of the Journal "Economics":

GTU Professor, Editor-in-Chief of the Journal "Economics",
Revaz Shengelia